თამარ ხორბალაძე

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის ტრენინგ-პროგრამების მენეჯერი

თამარი EPRC-ის გუნდს 2004 წელს შეუერთდა. წლების განმავლობაში მუშაობდა ორგანიზაციის პროექტების კოორდინატორად და ექსპერტად. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი და გაიარა შვედეთის მედიის უმაღლესი სკოლის (FOJO) გადამზადების კურსები; ასევე - ვენის IMFის ინსტიტუტის კურსი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის ბიუჯეტირებაში; „როიტერის“ ტრენერების ტრენინგი. მონაწილეობდა აშშ-ის საზოგადოებრივი კავშირების პროგრამაში. 1995 წლიდან მუშაობდა გაზეთებში: "დრონი", "24 საათი", საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურში, ჟურნალში "ტაბულა", რადიოში "მწვანე ტალღა". იყო ეკონომიკური მიმომხილველი, ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი, საინფორმაციო სამსახურის აღმასრულებელი პროდიუსერი, გადაცემის წამყვანი. წლების განმავლობაში ასწავლიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიზნესჟურნალისტიკას. ასევე იყო UNDP-ის მიწვეული ტრენერი საზოგადოებრივი დამცველისა და მედიაპროგრამებში; ამჟამად ასწავლის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თსუ) და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში (ილიაუნი); სამეცნიერო პოპულარული ჟურნალის - "თსუ მეცნიერება" - მთავარი რედაქტორია.

ანა კვანჭილაშვილი
საზოგადოებასთან ურთიერთობის
სამსახურის უფროსი
577 42 20 09
ana.kvanchilashvili@iliauni.edu.ge